6.2.2. ცალკეული ენები

1.6.2.2.1. კაუზატიური კონსტრუქციის ტიპები ქართულში. /ზ. ბარათაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 126-136. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განიხილება ქართული კაუზატიური კონსტრუქციები ბ. კომრის გრამატიკულ მიმართებათა (სინტაქსურ ფუნქციათა) იერარქიისა და მ. ბეიკერის ბრუნვათა მარკირების განზოგადების (გენერალიზაციის) მიხედვით. ვალენტობის გათვალისწინებით (ცენტრალურ აქტანტთა რაოდენობის გამოთვლით) განიხილება კაუზატიური კონსტრუქციის ოთხი ტიპი: 1. ამოსავალი ერთვალენტიანი ზმნისგან წარმოქმნილი კაუზატივი (ერთი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი); 2. ამოსავალი ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნისგან წარმოქმნილი კაუზატივი (ორი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი); 3. ამოსავალი ორვალენტიანი გარდამავალი ზმნი-სგან წარმოქმნილი კაუზატივი (ორი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი); 4. სამვალენტიანი ზმნისგან წარმოქმნილი კაუზატივი (სამი ცენტრალური აქტანტი + კაუზატორი). ზმნის სხვადასხვა აქტანტური სტრუქტურისა და სინტაქსურ ფუნქციათა ცვალებადობის მიხედვით ქართულში შემდეგი შემზღუდველი წესები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. გარდაუვალი ზმნისგან (როგორც ერთვალენტიანი, ასევე ორვალენტიანი) წარმოქმნილი კაუზატიური კონსტრუქციის კაუზირებული შეიძლება გამოიხატოს გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატებით; 2. თუ ამოსავალი ზმნა ორვალენტიანი გარდამავალია, მაშინ წარმოქმნილი კაუზატიური ზმნის კაუზირებული იკავებს ირიბი დამატების ადგილს, რადგან პირდაპირი დამატების ადგილი უკვე დაკავებულია; 3. მაგრამ თუ ამოსავალი ზმნა სამვალენტიანი გარდამავალია, მაშინ წარმოქმნილი კაუზატიური ზმნა ოთხვალენტიანი ვერ გახდება: კაუზატორი ქვემდებარეა (როგორც მოსალოდნელი იყო), კაუზირებული ირიბი დამატებით გამოიხატება (რადგანაც პირდაპირი დამატების ადგილი დაკავებულია), ამიტომაც ამოსავალი ირიბი დამატება ქვეითდება და იკავებს უბრალო დამატების ადგილს. ამგვარად, კიდევ ერთი შეზღუდვა გამომდინარეობს №3-დან: 4. კაუზირებული უნდა იყოს ცენტრალური აქტანტი და ამიტომ ირიბი დამატება ქვეითდება და იკავებს უბრალო დამატების ადგილს. ბ. კომრის განზოგადება შეესაბამება ქართულ კაუზატიურ კონსტრუქციას უბრალო დამატების პოზიციის გარდა: კაუზირებული არასდროს ხდება უბრალო დამატება. მ. ბეიკერის განზოგადება გრამატიკულ მიმართებათა (სინტაქსურ ფუნქციათა) შესახებ კი ზუსტად ასახავს რეციპიენტისა და კაუზირებულის (ამოსავალი გარდამავალი ზმნებისგან) შესატყვისობას: ირიბი დამატება გამოხატავს ორივე მათგანს. სქემა 28, ლიტ. 12.

ავტ.

1.6.2.2.2. ფუნქციურ-ენობრივ სტილთა და ჟანრთა ეკლექტიზმი აკა მორჩილაძის რომანში „გაქრები მადათოვზე“. /თ. ცეცხლაძე/. ენა და კულტურა. – 2020. – #23. – გვ. 91-99. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია ფუნქციურ-ენობრივ სტილთა და ჟანრთა ეკლექტიზმი რომანში „გაქრები მადათოვზე“, გაანალიზებულია, თუ რომელ სტილს ანიჭებს მწერალი უპირატესობას, რით არის სტილთა თუ ჟანრთა აღრევა განპირობებული და რა მიზანს ემსახურება ეს. აკა მორჩილაძე, როგორც პოსმოდერნისტი მწერალი, თამაშობს ფუნქციური სტილებით და ჟანრებით. ეს დასავლური მწერლობის ერთ-ერთი ტენდენციის გამოხმაურებაა. ის ძირითადად იყენებს სასაუბრო სტილს, რომელშიც უხვადაა ბარბარიზმი, ჟარგონი, ვულგარიზმი და. ა.შ. მწერალი მიმართავს ძველ გუჯრებსაც, გამოძიების ოქმებსაც და პირად წერილებსაც. პროზაში ჩართულია ლექსებიც. აკა მორჩილაძის მიზანია, მრავალი კუთხით, მრავალი ასპექტით დაგვიხატოს რომელიმე მოვლენა. ეს განპირობებულია თემატიკით, კერძოდ, ძველი და ახალი თბილისის იმ ამბებით, რომლებიც ბურუსითაა მოცული. სტილთა გადართვა-გადათამაშების ხერხები ემსახურება დამაჯერებლობის ეფექტის მიღწევას და მწერლის იდეის გამოხატვას. სასაუბრო სტილი, რომელსაც მწერალი იყენებს, ერთგვარი გზაა მკითხველმა ადვილად, ყოველგვარი